პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი შაბათი 31 ოქტომბერი № 250 (18192)

ფასი 2 კაპ.

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გულმხურვალედ ესალმებიან და ულოცავენ თბილისის ლენინის ორდენოსან შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთელ კოლექტივს, ქართული ხელოვნების ყველა მოღვაწეს თეატრის დაარსების 100 წლის თავს.

ეს თარიღი მხოლოდ ქრონოლოგიას კი არ ნიშნავს, არამედ ამ ხნის მანძილზე თეატრის მიერ განვლილი სახელოვანი გზის დიდებული დადასტურებაა. იგი ეროვნული თეატრალური ხელოვნების შექმნისა და აღმავლობის, შესანიშნავი ტრადიციების დამკვიდრების, მუდმივი შემოქმედებითი ძიებებისა და ბრწყინვალე გამარჯვებების ტრიუმფული გზის ნიშანსვეტია.

თეატრმა უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ერის თვითშეგნების, მშობლიური ენის დახვეწის, ეროვნული დრამატურგიის განვითარებისა და საზოგადოების ზნეობრივი სიწმინდისათვის ბრძოლის მამულიშვილურ საქმეში, ჭეშმარიტი ხელოვნების მადლით ჩვენი ხალხის სულიერი საუნჯე საკაცობრიო გახდა და ღირსეულად იკისრა ხალხთა შორის კეთილი ნებით გასხივოსნებული შუამავლის როლი.

თეატრის აქკამინდელი აღმავლობა, მისი ახალი სპექტაკლების საერთო აღიარება, მაღალიდეური და მაღალმხატვრული დონე ნთელი დადასტურებაა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის მოქალაქეობრივი მრწამსის ამაღლებისა და იმ განსაკუთრებული შემოქმედებითი ატმოსფეროსი, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა ბოლშევიზმის მანძილზე.

საბჭოთა საქართველოს 60 წლის თავის იუბილეზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა მიღწევებს. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ქართული თეატრალური ხელოვნების ოსტატებს, რომელთაც თავიანთი უანგარო, დახვეწილი და მაღალპროფესიული მოღვაწეობით საყოველთაო აღიარება და ხალხის დიდი სიყვარული მოიპოვეს.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის 100 წლის თავი იმართება იმ ღირსსახსოვარ დღეებში, როდესაც რესპუბლიკის მშრომელები დიდი წარმატებით აზორიცელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

დღეს, როდესაც თეატრი ზეიმობს თავისი სახელოვანი არსებობის საუკუნოვან იუბილეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი კვლავაც სასახელოდ გადაჰკრის ყველა იმ ამოცანას, რომლებსაც თანამედროვეობა უსახავს ხელოვნების ოსტატებს. ეს იქნება ქართული თეატრალური ხელოვნების შემდგომი აღმავლობის და მისი დიდებული მერმისის ჭეშმარიტი საწინდარი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

პარტიული კონტროლის ეფექტიანობა

გასულ გუდაუთის რაიონის ლიხნის XXIV პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეთორმეტე ბრიგადა საგრძნობლად ჩამორჩა. აქ არა მარტო გაჭიანურდა სახოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ზოგ ნაკვეთებზე უზარსხოდაც შესრულდა. და აი, მიმდინარე წლის სახაფყისში ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიამ გულდასმით შეიტანა მდგომარეობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩამორჩენის მთავარი მიზეზი მუშახელის ნაკლებობა იყო. რა ეღონათ? კომისიამ წინადადება მიაგანა პარტიულ კომიტეტში, რომელმაც თავის ბრივ, კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე დააყენა მეთორმეტე ბრიგადის სხვა ბრიგადასთან შეერეკების საკითხი. ამ ღონისძიებას კარგი შედეგი ოქვა, რადგან გამხსვლებულ ბრიგადას მეტი მუშაობა მიეცა მოძალებული სახოფლო-სამეურნეო სამუშაოებისას გონივრულად, რაციონალურად გაენაწილებინა მუშახელი.

ეს ერთი ჩვეულებრივი ფაქტია ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კომისიების ხელმძღვანელობისა, მაგრამ ამასთანავე იგი ხაზს უსვამს იმ მთავარ პირობას, რომ პარტიული კონტროლის დანიშნულება მარტო ნაკლის გამომზეურება და აღრიცხვა არ არის. თავდათავია იმ საინდო და უხწრაფესი გზების ძიება, რომლებიც საშუალებას იძლევა დაეხმარონ ადმინისტრაციას, ოელ კოლექტივს მეტი ეფექტიანობის გამოჩენაში, ხარვეზების აღმოფხვრაში.

პარტიული კონტროლი მით უფრო ქმედითი და ეფექტიანი იქნება, რაც უფრო მეტად გამოჩნდება ონარი — გამოპყონ უპირველესი ამოცანები და სწორედ მათ მიაპყრონ კომუნისტთა ყურადღება. აქ საქმე ეხება არა კანტიკუნტ, ეპიზოდურ შეოწმებებს, არამედ კონტროლის თანამიმდევრულ და მოფიქრებულ სისტემას. თბილისის, ქუთაისისა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება ოვალნათლივ მოწმობს, რომ კონტროლს მაშინ აქვს ფასი, მას მაშინ მოაყვება სახურველი შედეგი, როცა იგი მახმბრივია, საჭიროა და ღრმა და ობიექტიური ანალიზს ემყარება.

ამდენადრი და მრავალფეროვანია პარტიული კონტროლის ფორმები და მეთოდები. ერთ-ერთი მათგანია პარტიული [illegible], რომელზეც, თუკი [illegible] ამ [illegible] ბრიგადა ბუნებრივ ძირეულ და საჭირბოროტო საკითხებს, კარგად შეავლინონ კიდეც ადმინისტრაციის მუშაობის ხარისხს, დავინახავთ სიძნელეებსაც და შეცდომებსაც, სწორად გამოვიტანთ დასკვნებს.

საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა საგულდაგულოდ მოამზადონ ეს საქმიანად, პირუთვნელობითა და მაღალი მომთხოვნელობით მოაწყონ სამეურნეო ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენები, რომელიც ასევე კონტროლის ნაკადი და ქმედითი ფორმაა. თუმცა ზოგან ამ ფორმას გაბედულად ვერ იყენებენ. არის ასეთი ტენდენციაც: ეტეტხად იხმენენ ბრიგადების, რგოლების, უსნელ ხელმძღვანელთა ანგარიშებს, ხოლო უფრო მაღალ რანგის მუშაკებისადმი მორიდებას იჩენენ.

პრინციპულობა და ობიექტურობა ყველაზე მთავარია პარტიულ მუშაობაში. ამიტომ არავისგან არ უნდა იყოს რაღაც დათმობა და შეღავათი.

ეს მოთხოვნა განსაკუთრებით უნდა იღონ ყურადღებად ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიებმა, რომლებიც პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროებისა და კომიტეტების ბრძოლ თანაშემწეებად გვევლინებიან. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მათი სპეციალიზაცია: ერთი კომისია თვალს ადევნებს სამეურნეო ბგზების შესრულებას, მეორე — ახალი ტექნიკის დანერგვას, მესამე — პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლას, მეოთხე — შრომის ორგანიზაციისას, მეხუთე — კადრებთან მუშაობას...

სწორედ ამიტომ პარტიული კონტროლის კომისიებს შემადგენლობაში უნდა ავიჩიოთ ამა თუ [illegible] დარგის ღრმად მცოდნე, კომპეტენტური კომუნისტები, რომლებსაც ამასთანავე უნდა ახასიათებდეთ პატიოსნება და პრინციპულობა, ახლის გრძნობა და ინიციატივა. ყოველივე ამის გათვალისწინება განსაკუთრებით საჭიროა ამჟამად, როცა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რომლებზეც ბევრად ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიებსაც ქმნიან და ირჩევენ.

„პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა XXVI ყრილობაზე, — მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება. საჭიროა, რომ [illegible] უფრო სრულად და უკეთ იყენებდნენ მას. [illegible] ეხება საკადრო საკითხებს, სამეურნეო გეგმების შესრულებას თუ ადამიანთა შრომისა და [illegible]-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ პრინციპულობა, არ აპყენენ ადმინისტრაციის ნებას, [illegible] ეს [illegible] ერთი სტატიკურ [illegible] ბაზა“.

[illegible] ორგანიზაციებ [illegible] ადმინისტრაციის [illegible] ფორმებ [illegible] ეფექტ [illegible] ეფექტ [illegible] ინიციატ [illegible] ინიციატ [illegible] ინიციატ

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 173

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

გეგმები — სანახევროდ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის, კომბინირებული საკვებისა და სოფლის მეურნეობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის შემოწმების შედეგები.

კონტროლზე აყვანილი 21 ობიექტიდან, რომელთა დამკვეთია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 16 მშენებლობაზე არ შესრულებულა კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 8 თვის გეგმა, აუთვისებელი დარჩა 5.278 ათასი მანეთი. კვების მრეწველობის სამინისტროს სამ და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ორ მშენებლობაზე დავალების შესრულებას შესაბამისად 42,8 და 26,7 პროცენტი დააკლდა, ხოლო სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატისა და საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ონჩამირის კომბინირებული საკვების ქარხნის მშენებლობებზე — 54 და 10 პროცენტი. დავალება არ შეუსრულებიათ აგრეთვე საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის № 3 და № 8 ტრესტის სამშენებელო სამმართველო „ბიათურმშენს“ (უფროსები ვ. ვარდანი და ო. კუპატაძე), საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის № 41, № 3 ტრესტის № 20 და № 1 ტრესტის № 43 მოძრავ-მექანიზებულ კოლონებს (უფროსები — ი. ფარცვანია, დ. ტაბატაძე, კ. თედორაძე), სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროს „საქიდროენერგომშენის“ ტრესტის სამშენებლო სამმართველოს — „ინგმშენის“ (უფროსი — ა. დიულგაროვი) და სხვა სამშენებლო ორგანიზაციებს.

საქართველოს მშენებლობისა და სოფლის მშენებლობის სამინისტროები ძირითადი საშენი მასალებით და ასაწყობი ნაკეთობებით არადამაკმაყოფილებლად მამაგებენ ცალკეულ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან, მშენებლობებს. მშენებლობის სამინისტროს ტრესტი „მშენინდუსტრიას“ (მმართველი — ნ. ჩიჩუა), საჩხერის ბამბეულის ფაბრიკის მშენებლობისათვის 6 თვის მანძილზე არ მიუწოდებია 262 კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობები, ხოლო ონჩამირის კომბინირებული საკვების ქარხნის მშენებლობისათვის 200 ცალი კედლის პანელი და 50 ცალი გადასახურავი ფილა. მშენებლობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოებმა ბაბუშერის ქარხანა „პეფსი-კოლას“ და ქსნის მინის ტარის ქარხნის მშენებლობებს დაალეს 830 და 365 კუბური მეტრი ნაკეთობები. „მინმონტაჟსპეცმშენის“ რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანამ შარშან ბაბუშერის „პეფსი-კოლას“ ქარხნის მშენებლობას ვერ მიაწოდა 268 ტონა ლითონკონსტრუქციები; საჩხერის ბამბეულის ფაბრიკის მშენებლობას არ ჰყოფნის ბულდოზერები და ავტოტრანსპორტი. მუშახელით არ არის დაკომპლექტებული კორბოულის მერძევეობა-მეცხოველეობის და ქარელის რაიონის დედოფლის მებოცვრეობის კომპლექსები, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გასაშლელად და მშენებლობის წარმატებით დასამთავრებლად ქსნის მინის ტარის ქარხნის მშენებლობას დამატებით სჭირდება 200-მდე კვალიფიციური მუშა.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების სამინისტროებმა და საქსოფლტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კომპლექტაციის სამმართველომ წლეულს სრულად არ დააკომპლექტეს ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის ზესტაფონის რაიონის სვირის მებოცვრეობის ფერმა, საჩხერის რაიონის კორბოულის მეცხოველეობის კომპლექსი, ონჩამირის კომბინირებული საკვების ქარხანა და სხვა.

მთელ რიგ მშენებლობაზე დამკვეთებსა და საპროექტო ორგანიზაციებს შორის არ არის გადაწყვეტილი ცალკეული ტექნიკური საკითხები, რაც ხელს უშლის მშენებლობის ნორმალურ მსვლელობას. კინდღის სახორცე მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკისათვის წყალმომარაგებისა და ლოკალური საშენები ნაგებობების კემპლექსის მშენებლობის საკითხი შეთანხმებული არ არის აფხაზეთის სსრ სანეპიდსადგურთან. კვების მრეწველობისა და დამზადების სამინისტროებს ვერ გადაუწყვეტიათ ონჩამირის კომბინირებული საკვების ქარხნისა და № 2 ჩაის ფაბრიკის გაერთიანებულ საშენედ ნაგებობათა მშენებლობაში მათი წილობრივი მონაწილეობის საკითხი, ხოლო საქართველოს მინერალური და ხილის წყლების რესპუბლიკური გაერთიანება და „საქიდროენერგომშენის“ ტრესტი წლების მანძილზე ვერ ათავისუფლებენ ტერიტორიას ქსნის მინის ტარის ქარხნის საამქროების კორპუსების მშენებლობისათვის. როსტოვის „მარცვალმრეწპროექტის“ ინსტიტუტს, „საქკვებმრეწპროექტს“ და „საქსოფლმშენსახპროექტს“ დღემდე არ დაუმთავრებიათ ონჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნის, „პეფსი-კოლას“ ქარხნის, კინდღის სახორცე მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკისა და სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადაანგარიშება.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა აღნიშნულ საკითხზე მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა სასოფლო მშენებლობისა და მშენებლობის სამინისტროებს, საქსოფლტექნიკის სახელმწიფო კომიტეტსა და „საქიდროენერგომშენის“ ტრესტს და მოსთხოვა მათს ხელმძღვანელებს (ი. ხარატიშვილი, ვ. გოგოლაძე, დ. სარიშვილი და შ. ცისკარიშვილი) განიხილონ იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ვერ შეასრულეს დავალება.

სახალხო კონტროლიორებო! ენერგიულად იბრძოლეთ დისციპლინის განმტკიცებისა და ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან

მომჭირნედ, ყაირათიანად

ნედლეულის, საწვავის, ელექტროენერგიის, სხვა მატერიალური რესურსების დაზოგვისა და ეკონომიურად მოხმარების ზრუნვა — შრომა სახალხო კონტროლიორთა სისხლხორცეული საქმეა

სკკპ XXVI ყრილობის მიერ ქვეყნის წინაშე დასახული ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის შესასრულებლად საჭიროა წარმოებაში მოვაქციოთ ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების უდიდესი მარაგი. მაგრამ რაც უფრო მეტ დრო გადის, ნედლეულისა და სათბობის მოპოვება სულ უფრო ძვირდება, ამასთან წიაღისეული მარაგიც ხომ გამოულეველი არის.

ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა სახეობის მატერიალური რესურსების უაღრესად მომჭირნე და რაციონალურ გამოყენებას. ამიტომაც არის, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ მიიჩნიეს ამას წინათ გამოეფოთ საგანგებო დადგენილება „ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების დაზოგვისა და რაციონალური გამოყენებისათვის“. შუმბოს ბაძლიერების ზომა-ღონისძიებანი.

პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების განხორციელებაში დიდი როლი შეუძლიათ შეასრულონ სახალხო კონტროლის ჯგუფებმა და საგუშაგოებმა. ეს კარგად ეს. მეთ ახალციხის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებაში სახალხო კონტროლის ჯგუფი წევრებს და კვლავაც მთელი შემართებით იბრძვიან სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უაზოო ათინად ხარჯვისათვის.

შეგიწყვებებმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებაში საწვავის გადახარჯვას იწვევდა ავტომანქანების უქმი გარბენები. გაუმართობა, ზოგიერთი მძღოლის დაბალი კვალიფიკაცია და სხვა, რაზედაც კონტროლის ჯგუფის სხდომებზე არაერთხელ გვქონია მსჯელობა და საწარმოში პირველად პარტიულ ორგანიზაციასა და აღშინისტრაციასთან ერთად სათამადო ღონისძიებებიც განგვიხორციელებია.

საწვავის მომჭირნედ ხარჯვის მიზნით სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრმა რ. ინასარიძემ სკითხი ასე დააყენა — მუშაობა დაგვიენერგა ახალი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ... რველად ავტომანქანის ავზის ... ესებას, შემდგომში კი საწვავ... გაცემას ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით. ... მძღოლებს საშუალებას არ აძლ... ევს იმაზე მეტი საწვავი დახარ... ჯონ, რამდენიც ფაქტობრივად სჭ... რდებათ. შეიძლება ითქვას, რომ ... ამ სიახლემ გაამართლა, ახლ... ავტომძღოლებს ავზი მუდამ სავ... ესე აქვთ და საწვავსაც ეკონომ... მიერად ხარჯავენ.

უქმი გარბენების შესამცირებლად სახალხო კონტროლიორმა პ. თუმანიშვილის წინადადებით ფართოდ გამოვიყენეთ ავტომობილები და მტკიცე კონტროლი დავუწესეთ შემხვედრი ტვირთის გადაზიდვას. ამნა�d ... ძალი საწვავი დაგვიზოგა.

ავტომანქანების გაწყობის დროსაც ბევრი ბენზინი იღვრება. ამის აღსაკვეთად ადგილზე მივიღეთ ზომები. მანქანის კვების სისტემის გაუმართობამ საწვავი რომ არ გადახარჯულიყო, შეკვეთებზე მომუშავე ოტატები კვალიფიკაციის ასამაღლებლად თბილისის პირველ, მეორე ავტოშემკეთებელ ქარხნებში გავგზავნეთ, ხოლო ადგილზე მოვაწყვეთ მძღოლთა კვალიფიკაციის ამაღლების 3-თვიანი კურსები.

საწარმოო გაერთიანებაში ბევრი საწვავი დაიზოგა აგრეთვე სახალხო კონტროლიორის ნ. ... რაკოსიანის რაციონალური წესდადების დანერგვით.

ყოველივე ამის შედეგად ... ლაციხის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებამ უკანასკნელ ხანს 284 ათასამდე ლიტრი საწვავ-სასპოხი მასალა დაზოგა.

ჩვენი სახალხო კონტროლიორები ასევე ენერგიულად შრომობენ ელექტროენერგიის დაზოგვად და აქაც გარკვეული წარმატებები აქვთ. შარშან ... მიმდინარე წლის შვიდ თვეში დაიზოგა ათასობით კილოვატ ელექტროენერგია.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, თუ რა დიდი წვლილი შეტანა შეუძლიათ სახალხო კონტროლიორებს სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების ყაირათიან ხარჯვაში.

ვ. ყულიჯანაშვილი,
ახალციხის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე

... ეთრი ხალათი სუფთა უნდა იყოს

ჩვენთან მოზარდი თაობის ჯანმრთელობასა და აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, უმჯობესდება მათი სამედიცინო მომსახურება, ხორციელდება ღონისძიებანი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების დასანერგად.

უკანასკნელ ხანს ამოქმედდა დიდი მრავალპროფილიანი საბავშვო სავადმყოფოები თბილისსა და ქუთაისში, აშენდა ახალი საავადმყოფო თელავში, გაიხსნა რესპუბლიკური საავადმყოფო ბათუმში, ახალ შენობაში გადავიდა ბევრი განყოფილება და პოლიკლინიკა-დამბულატორია, დაინერგა ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დახმარების ორგანიზაციული ფორმები, წარმატებით მოქმედებს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შექმნილი ბავშვთა მოძრავი პოლიკლინიკა, მუდმივმოქმედი ლექტორიუმი და სხვა. ყოველივე ამან განაპირობა ბავშვთა სტაციონარული და პოლიკლინიკური სპეციალიზებული დახმარების ქსელის გაფართოება, შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა, რომელიც საშუალო საკავშირო მაჩვენებლზე დაბალია.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ბავშვთა სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციაში ყველაფერი რიგზე იყოს. ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა, რომლებიც გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს. დასამალი არ არის, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის სამედიცინო პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაობის დონე არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს, ზოგიერთ დაწესებულებაში ჯერ კიდევ არ არის რიგიანად ორგანიზებული ბავშვთა მკურნალობა, სათანადოდ ვერ ეწყობა კლინიკურ-დიაგნოსტიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები, ვბვდებით სამედიცინო პერსონალის მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტებს, რასაც ზოგჯერ მძიმე შედეგი მოსდევს.

ბოლო ერთი წლის მანძილზე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა რამდენჯერმე შეამოწმა რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებში ბავშვთა მომსახურების მდგომარეობა. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის მდგომარეობასა და რესპუბლიკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების შემოწმების შედეგებზე მიღებულ დადგენილებაში სათანადო შეფასება მიეცა გამოვლენილ ფაქტებს. ნაკლოვანებანი ბავშვთა მომსახურების საქმეში იმის შედეგია, რომ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები სუსტ ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა საქმიანობას, თვალყურს არ აღევნებენ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მითითებებისა და რეკომენდაციების შესრულებას.

ამას წინათ საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა რესპუბლიკაში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების შემოწმების შედეგებზე. მართალია, შემოწმების პერიოდში და მის შემდეგაც ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მაგრამ როგორც ფაქტები ცხადყოფს, ისინი საკმარისი არ არის.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ სავალალო, გამოუსწორებელ შედეგებს იწვევს არა წამლების, საწოლი ადგილების ან თანამედროვე სამედიცინო ტექნიკის ნაკლებობა, არამედ სამედიცინო დარგის ზოგიერთი უღირსი მუშაკის ავადმყოფისადმი უსულგულო დამოკიდებულება. ამის უტყუარი მაგალითები რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს, ადგილობრივ კომიტეტებს საკმაოდ აქვთ. არავითარი გამართლება არა აქვს იმას, როცა ცუბიდურების მიზეზი, სამწუხაროდ, ზოგჯერ ექიმის დაუდევრობა ხდება.

არცთუ დიდი ხნის წინათ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის განხილვის საგანი გახდა ქარელის საავადმყოფოში სამედიცინო მომსახურების უხეში დარღვევის ფაქტები, ექიმის გაუმართლებელ თვითდაჯერებას, აპარტაგნობას, ავადმყოფისადმი ზერელე დამოკიდებულებას შეეწირა ყმაწვილის სიცოცხლე, გამოუსწორებელი ტრაგმა მიაყენეს ოჯახს.

ბათუმის სამშობიარო სახლში ახალშობილი ც. ბერგიშვილის მდგომარეობა დაბადებიდან 7 წლის მანძილზე დამაკმაყოფილებელი იყო. ბოლო ორი დღის მანძილზე ბავშვი არ გაუსინჯავთ, მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა და დაიღუპა.

ავადმყოფისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე მეტყველებს ფაქტი, რომელიც სურამის ბავშვთა საავადმყოფოში მოხდა. ხუთი თვის რ. გრიგალაშვილი სტაციონარიდან გამოწერის მეორე დღეს თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ი. ფალავა,
ჯ. ახვლედიანი,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორები.

რუსეთია მცხეთის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქაურმა მეღვინეებმა გადაწყვიტეს წლეულს გეგმიდ გათვალისწინებული 3.500 ტონის ნაცვლად მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 4.000 ტონა ყურძენი.

ახლა მეურნეობის სახალხო კონტროლიორთა მთელი ყურადღება იქითკენ არის მიპყრობილი, რომ დროულად და უდანაკარგოდ მოკრიფონ ყურძენი.

ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილია მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე მარიამ ქოფაშვილი (მარცხნიდან მეორე) და სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები ეთერ მაისურაძე, ცეზარ როსტიაშვილი და ნინო მუხათგვერდელი, რომლებიც ამოწმებენ მოკრეფილ ვენახს.

ვ. გენგიურის ფოტო.

... ბავშვების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის

... ყველანი ვაგებთ კასუხს

ტექნიკას ცუდად უვლიან

საგარეჯო. (საკ. კორ). სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა მორიგ სხდომაზე განიხილა კოლეგიურობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მოვლა-პატრონობის მდგომარეობის საკითხი.

აღინიშნა, რომ მთელ რიგ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა საიმედო, კვალიფიციურ მუშაკთა ხელშია, რომლებიც გულისხმიერად უვლიან მას და მაქსიმალური დატვირთვით იყენებენ.

სამწუხაროდ, ასე არ არის შიბლიანის კოლეგიურობაში, იორის, გიორგიწმინდის, ლამბალოს, საგარეჯოს და ხაშმის საბჭოთა მეურნეობებში. აქ სათანადოდ არ არის მოწყობილი მანქანა-იარაღების შესანახი ფარდულები და მოედნები, მექანიზატორთა დასასვენებელი სახლები, სასადილოები, საშხაპეები, ირღვევა მანქანებისა და მათი კვანძების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების გრაფიკები, ტექნიკის მოვლისა და საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვისათვის არ არის დაწესებული წამახალისებელი ღონისძიებანი. სიმინდის, მზესუმზირას და სხვა კულტურების კომპლექსური დამუშავებისათვის არ ჰყავთ მექანიზატორთა სპეციალური რგოლები, დროებით გამოუყენებელი ტექნიკა მიტოვებულია უზადამხედველოდ.

მეურნეობათა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მოუქნელ და უუაირათო მუშაობას უნდა მიეწეროს ის მდგომარეობა, რომ არა აქვთ შემოღებული ტექნიკის აღრიცხვის, ექსპლოატაციისა და ტექმოვლის ჟურნალები, ტრაქტორების, კომბაინების, ბულდოზერებისა და სხვა მანქანების ერთ ნაწილს არა აქვს სახელმწიფო ნომრები.

დამაკმაყოფილებელი არ არის საშემოდგომო თესვისათვის მზადყოფნის საქმე. მაგალითად, შიბლიანის კოლმეურნეობაში „დტ-75“ მარკის ექვსი ტრაქტორიდან გამართულია ხუთი, ივრის საბჭოთა მეურნეობაში — ხუთიდან ორი, გიორგიწმინდის მეურნეობაში — ექვსიდან ხუთი, ხაშმში — შვიდიდან ხუთი.

მოუწესრიგებელია ტექნიკის ჩამოწერის, მისი ვარგისი კვანძებისა და ნაწილების აღრიცხვა-შენახვის საქმე. ხაშმის, გიორგიწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ეზოებში ღია ცისქვეშ ყრია ჩამოწერილი მანქანები, გამოსაყენებელი კვანძები და დეტალები.

ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა დარღვევებისათვის მთავარ ინჟინერ-მექანიკოსებს ნ. ჯავახიშვილს, მ. მუსაბალიევს, თ ჭიაბერაშვილსა და შ. ეიბოვს სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა საყვედურ-ბრალდებანი ... ...

რუსთაველის თეატრი: საუკუნე და ეპოქა

(დასასრული)

თეატრის ისტორია.

...ახლები, დოკუმენტები, მოგონებები...

...ოდგება საზეიმო წუთი... იხსნება ...ალი. სცენას მოეფინა მუსიკის ...ებები, ცისარტყელის ფერები, ...ყება არაჩვეულებრივი წარმოდ...ნა — თეატრის ისტორია, რო...ლსაც რუსთაველელთა მთელი ...ემოქმედებითი კოლექტივი ას...ებს. მაყურებელი მსახიობებ...ან ერთად თითქოსდა ფურცლავს ...ასანშავი წიგნის ფურცლებს: ...ითითდეგ, წლითიწლობით ათ...ეულიდან ათწლეულამდე ხდება ...ი. ჩამოყალიბების, აღმაფრე...ა თუ მარცხის, წარმატებებისა ...ა გარდაუვალი შეცდომების, ...ორძინებისა და ახლანდელი ...რუმფის თანაზიარი.

...რუსთაველის თეატრი 100 წლი...ა. იგი იმ შორეულ წლებში ...ყალობდა, როცა არსებობა შეწ...ყიტა ქართული თეატრის პირ...ლმა პროფესიულმა დასმა და ...ქართველოს დიდი შვილები ...ია ჭავჭავაძე და აკაკი წერე...ელი სათავეზე ჩაუდგნენ ამ თე...ტრის აღორძინებას, რომელსაც ...ვე ჩვენს დროში შოთა რუსთა...ელის სახელი ეწოდა.

...საიუბილეო წარმოდგენა, რომე...ც რეჟისორმა რობერტ სტუ...ამ შექმნა თეატრმცოდნე ლ. ...ოფხაძესთან ერთად, კოლექტი...ის ისტორიის ძირითად მოვლე...ებს აცოცხლებს. წარმოდგენაში ...ოკუსი ვით აისახა თეატრის შე...ქმედებითი კრედო — იყოს ...რიბუნა, რომლიდანაც მხურვა...ედ ბეჭობენ საჭირბოროტო პრო...ლემებზე ქადაგებენ დიდი აზ...ებისა და იდეების ხელოვნებას ...ორიგინალური ჩანაფიქრის, ...ენიური რეტროსპექტიკის მეშვე...ბით შეხვდნენ მაყურებლები მსახიობთა მთელ თანავარსკვლავედს, იმათაც, ვისაც უნდა შეეხარხუნებინა და განეგრძო რუსთაველელთა საუკეთესო ტრადიციები, უფროსი თაობის მსახიობებსაც: და იმათაც, ვინც აქ მოგვიანებით მოვიდა, მიიღო ესტაფეტა უფროსებისაგან, თეატრის შემოქმედებითს ახალგაზრდობას, თეატრის ხვალინდელ დღეს.

ისტორიის ფურცლები გვიამბობენ, თუ როგორ იქმნებოდა სპექტაკლი „სამშობლო“, როგორ ჩამოვიდა 1883 წელს თბილისში დიდი რუსი დრამატურგი ალექსანდრე ოსტროვსკი, რომელმაც თავისი „სარფიანი ადგილის“ ქართველ მსახიობთა მიერ განხორციელებული დადგმის შემდეგ, მთავარი როლის შემსრულებელს მაკო საფაროვ-აბაშიძეს უთხრა: „სანამ ცოცხალი ხართ, ჩემი პოლინა არ მოკვდება“.

... გადიოდა წლები საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან ერთად აღორძინდა ქართული თეატრი, მის სცენაზე აელვარდა დიდი კოტე მარჯანიშვილის ნიჭი, რომლის ნამუშევრებიც აღსავსე იყო ახალგაზრდული სულისკვეთებით, გატაცებითა და სიმხნევით. კოტე მარჯანიშვილს ესმოდა, რომ ახალგაზრდა საბჭოთა თეატრს ვაქაცური, ოპტიმისტური, გმირული სულისკვეთებითა და სიცოცხლის დაფიცებული სიყვარულით გამსჭვალული დრამატურგია სჭირდება.

მის მიერ 1922 წელს ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ მიხედვით შექმნილმა სპექტაკლმა გადაწყვიტა ქართული თეატრის ბედი. ნაწარმოები, რომელიც თავისი შინაარსით დაშორებული იყო თანამედროვეობის მოვლენებს, გასაგები და ახლობელი გახდა ახალი საბჭოთა მაყურებელი ხალხისათვის. ეს იყო მარჯანიშვილის ხელოვნების არსი, რომელმაც პრაქტიკულად შეასახა ხორცი საბჭოეთის ახალგაზრდა ქვეყნის მთავრობის თეატრალურ პოლიტიკას.

შემდეგ კი თეატრში მოვიდა სანდრო ახმეტელი, რომელმაც მაყურებელი გააოცა ელვისებური რიტმით, იშვიათი პლასტიკით. მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ზასიათის სპექტაკლებით. „ანზორი“, „ლამარა“, „ინტერანოს“ — მაყურებელთა დარბაზს იპყრობდნენ ბრძოლის პათოსით, რომანტიკული ამბოხის სულისკვეთებით.

... ამონაწერი თეატრის საგასტროლო დღიურიდან მოსკოვი, 1930 წლის 5 ივნისი:

„რუსთაველის სახელობის თეატრმა განაცვიფრა მოსკოელი. იგი და მეც — ვფიქრობთ, რომ ეს დასი მსოფლიო თეატრების პირველ რიგებში დგება“. ანატოლი ლუნაჩარსკი.

„რუსთაველის თეატრი დიდ მხატვრულ ორგანიზმად იქცა, რაც თვალნათლივ ადასტურებს საბჭოთა საქართველოს კულტურის აყვავებას. ქართულ-ეროვნული სტილის თავისებურებასთან შერწყმული მესრულების მაღალი ტექნიკა, სპექტაკლების ზუსტი აგება და რეჟისურა იმის უტყუარი გარანტიაა, რომ თეატრი ერთ-ერთ პირველ ადგილს დაკავებს საბჭოთა თეატრალურ კულტურაში“. გაზეთი „პრავდა“.

„იმან რაც „ოლეგებში“ ვნახე, დიდად ამაღელვა და სულით ხორცამდე შემძრა. სულითა და გულით ვუსურვებ თეატრის ყველა მუშაკს ასეთივე ენერგიითა და მხნეობით ევლოთ ეროვნული თეატრის განვითარების გზით. გულწრფელად მადლობელი ბორის ლავრენიოვი“.

თავის ნამუშევრებში, იქნება ეს ისტორია თუ თანამედროვეობა, თეატრი ყოველთვის ცდილობდა წარმოედგინა სცენაზე ცოცხალი ადამიანი მისი რთული, ღრმა ფსიქოლოგიური არსით. თეატრს ამშენებდნენ დიდი მსახიობები აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, უშანგი ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, გიორგი დავთაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ვერიკო ანჯაფარიძე და მრავალი, მრავალი სხვა შესანიშნავი ხელოვანი. თეატრის /აკვავებაში დიდი წვლილი მიუძღვით რეჟისორებს მ. თუმანიშვილს, დ. ალექსიძეს, ა. ჩხარტიშვილს, რ. სტურუას, მსახიობებს ე. მანჯგალაძეს, გ. გეგეჭკორს, მ. თბილელს, ზ. კვერნჩხილაძეს, კ. საკანდელიძეს, ე. მაღალაშვილს, კ. მახარაძეს, მ. ჩახავას, ს. ყანჩელს, რ. ჩხიკვაძეს, მსახიობთა, რეჟისორთა ახალგაზრდა ცვლას.

თეატრის მარადიული სიუჟეტის, მარადიული ცხოველმყოფელობის ლაბმორტივად ყოველ სცენიდან წარმოთქმული სიტყვები: „თაობები მიდიან, თაობები მოდიან, მაგრამ მარად ახალგაზრდა რუსთაველის თეატრი განაგრძობს ბრძოლითა და აღმაფრენით აღსავსე ცხოვრებას“.

მაშ ასე, თეატრის პირველი ნაბიჯებიდან დღემდე მსახიობებმა და მაყურებლებმა ერთად განვლეს სახელოვანი გზა.

თეატრი ასი წლისაა. მაგრამ მისი გზა წლების კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გაგრძელდება, რამეთუ ჭეშმარიტი ხელოვნება უკვდავია.

ზეიმი, რომელიც მუდამ თან გახლავს

ეხ საღამო დიდხანს ეხსომება ყველას.

დარბაზი მჭუხარე ტაშით შეხვდა საქართველოს კომპოზიტორთა ცენტრალური კომიტეტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმების თეატრის კოლექტივისადმი, რომელიც წაიკითხა საქართველოს სახალხო არტისტმა ე. მანჯგალაძემ.

ოუბილარი თეატრის კოლექტივს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუხარსკი, თბილისის თეატრების მსახიობები, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ანჯაფარიძე, ინგლისის თეატრ „რაუნდ ჰაუზის“ დირექტორი ტელმა ჰოლტი, ინგლისელი თეატრალური კრიტიკოსი მაიკლ კოვენი, დიუსელდორფის თეატრის დირექტორი გიუნტერ ბელიკი, ავინიონის ფესტივალის დირექტორი პოლ პიო, რეჟისორი ჰერმან ვედეკინდი (გფრ), რესპუბლიკის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, რუსთაველელთა კოლეგები მოსკოვიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.

რუსთაველის სახალხო თეატრის კოლექტივის სახელით სიტყვა წარმოთქვა თეატრის დირექტორმა, მთავარმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ.

